

Premier Minister

Gruzji

List powitalny Premier Ministra Gruzji J.E. Pana Giorgia Kvirikashvili do XV Międzynarodowej  
Sesji Kartwelologicznej im. św. Grzegorza Peradze

Warszawa, 6 grudnia 2016 roku

Szanowni Panie i Panowie,

Jest dla mnie wielkim zaszczytem zwrócić się do zgromadzonej publiczności piętnastej Międzynarodowej Sesji Kartwelologicznej im. św. Grzegorza Peradze.

Archimandryta Grzegorz Peradze, który działał w XX wieku, wnosząc ogromny wkład w życie świeckie oraz kościelne Gruzji i Polski, stał się w pełnej mierze symbolem jednoczącym oba kraje. Całemu gruzińskiemu narodowi i mi osobiście szczególną radość sprawia miłość polskiego narodu do Grzegorza Peradze oraz chwalebne uznanie jego zasług w kraju, który uważał za drugą ojczyznę i kochał bezgranicznie.

XIX-XX w stuleciu niejeden Polak stał na straży wolności i godności Gruzji, tak jak wielu Gruzinów walczyło za niepodległość Polski, kiedy ważyły się losy nie tylko Polski, ale także całej Europy i Świata. Patriotyczny duch i walka o wolność zjednoczyły na zawsze dwa narody.

Polska była jednym z tych krajów, w którym Gruzja XX wieku, po odzyskaniu niepodległości od Rosyjskiego Imperium, miała swoje przedstawicielstwo dyplomatyczne. Nasza historyczna przeszłość, nieustająca walka z najeźdźcami, a także lojalność do wspólnych wartości europejskich i wspólna wizja zachodzących procesów we współczesnym świecie, przedstawia solidną podstawę, na której opiera się ścisła i owocna współpraca naszych krajów oraz trwałość kontaktów międzyludzkich. Właśnie wspomniane fundamenty warunkują wzajemne wsparcie oraz solidarność w stosunku do siebie.

Egzystencjalna droga Gruzji – europejski wybór, nieustające dążenie do zachodnich wartości są jasnym wyrazem wdrożenia tych ideałów, które z poświęceniem głosił w trakcie kazań Grzegorz Peradze.

Szczególnie cieszy mnie, że tegoroczna konferencja poświęcona jest pamięci największego gruzińskiego poety - Szota Rustawelego, który jeszcze w XII wieku mówił, podzielał i przywoływał do wierności tym wartościom, które cywilizowany świat dziś chroni i stara się, aby stały się one trwałe i nieodwracalne.

Pragnę serdecznie podziękować organizatorom konferencji. Od 2002 roku, nie ustaje sukces i wywołuje duże zainteresowanie społeczeństwa. Konferencja ma międzynarodowy zasięg i szeroki spektrum zagadnień. Ze względu na powyższe podwójnie trzeba docenić, że właściwe przedstawienie kultury gruzińskiej, historii, literatury, sztuki oraz docenianie ich odbywa się w tak zacnym gronie.

Korzystając z okazji, pragnę wyrazić swą przychylność dla organizowanej przez Ambasadę Gruzji w RP w ramach konferencji wystawy pt. „Żywa kultura trzech systemów Alfabetu Gruzjińskiego”, która poświęcona jest gruzińskiemu alfabety uznanej przez UNESCO kilka dni temu za niematerialne dziedzictwo kulturowe ludzkości. Zatem gruziński alfabet ludzkość uznała nie tylko, jako narodowe, ale również międzynarodowe dziedzictwo kulturowe.

Na koniec, raz jeszcze pragnę zwrócić państwa uwagę na znaczenie Międzynarodowej Sesji Kartwelologicznej im. św. Grzegorza Peradze; rolę, jaką ona odgrywa w kształtowaniu i umacnianiu stosunków między kulturami i ludźmi oraz życzyć organizatorom konferencji powodzenia w realizacji dalszych udanych przedsięwzięć.

Z wyrazami szacunku,

Giorgi Kvirikashvili

N42989





საქართველოს  
პრემიერ-მინისტრი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მ.ა. ბატონი გიორგი კვირიკაშვილის მიმართვა  
წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის მე-15 საერთაშორისო ქართველოლოგიური  
კონფერენციისადმი  
ვარშავა, 6 დეკემბერი, 2016 წ.

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო,

ჩემთვის უდიდესი პატივია, მივმართო ვარშავაში წმ. გრიგოლ ფერაძის მე-15 ქართველოლოგიურ კონფერენციაზე შეკრებილ საზოგადოებას.

მე-20 საუკუნეში მოღვაწე არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოსა და პოლონეთის საერო თუ საეკლესიო ცხოვრებაში, ორ ქვეყანას შორის ერთგვარ გამაერთიანებელ სიმბოლოდ იქცა. პირადად ჩემთვის და მთელი ქართველი ხალხისთვის განსაკუთრებით სასიხარულოა მისდამი პოლონელი ხალხის სიყვარული, და გრიგოლ ფერაძის ღვაწლის ღირსეული დაფასება იმ ქვეყანაში, რომელიც მას თავდავიწყებით უყვარდა და მეორე სამშობლოდ მიაჩნდა.

XIX-XX საუკუნეებში, არაერთი პოლონელი იდგა საქართველოს თავისუფლებისა და ღირსების სადარაჯოზე ისევე, როგორც მრავალი ქართველი იბრძოდა პოლონეთის დამოუკიდებლობისთვის, როდესაც წყდებოდა არა მხოლოდ პოლონეთის, არამედ მთელი ევროპისა და მსოფლიოს ბედი. პატრიოტულმა სულისკვეთებამ და თავისუფლებისათვის ბრძოლამ ორი ერი სამუდამოდ შეაკავშირა.

პოლონეთი იყო ერთ-ერთი იმ სახელმწიფოთაგანი, სადაც საქართველოს ჰყავდა დიპლომატიური წარმომადგენლობა XX საუკუნეში, რუსეთის იმპერიისგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. ჩვენი ისტორიული წარსული, შეურიგებელი ბრძოლა დამპყრობელთა წინააღმდეგ ისევე, როგორც საერთო ევროპული ფასეულობებისადმი ერთგულება და ზიარი ხედვები თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისადმი, წარმოადგენს იმ მყარ საძირკველს, რომელსაც ეფუძნება ჩვენი ქვეყნების მჭიდრო, წარმატებული თანამშრომლობა და ხალხთაშორისი კონტაქტების სიმტკიცე. სწორედ აღნიშნული საფუძვლები განაპირობებს ურთიერთთანადგომასა და ერთმანეთის მიმართ სოლიდარობას.

საქართველოს ეგზისტენციალური გზა - ევროპული არჩევანი, დასავლური ღირებულებებისკენ დაუღალავი სწრაფვა იმ იდეალების ხორცშესხმის ნათელი გამოხატულებაა, რომელსაც თავდაუზოგავად ქადაგებდა გრიგოლ ფერაძე.


განსაკუთრებით მახარებს, რომ წლევეანდელი კონფერენცია ეძღვნება იმ უდიდესი ქართველი პოეტის - შოთა რუსთაველის - ხსოვნას, რომელიც ჯერ კიდევ XII საუკუნეში საუბრობდა, იზიარებდა და მოუწოდებდა იმ ფასეულობათა ერთგულებისაკენ, რომელსაც ცივილიზებული სამყარო დღეს იცავს და ცდილობს შეუქცევადი და მდგრადი გახადოს.

მსურს, მაღლობა გადავუხადო კონფერენციის ორგანიზატორებს. 2002 წლიდან მოყოლებული, არ ნელდება წარმატება და საზოგადოების მაღალი ინტერესი. კონფერენცია საერთაშორისო მასშტაბისაა და საკითხთა ფართო სპექტრს მოიცავს. ამ თვალსაზრისით, ორმაგად დასაფასებელია, რომ ქართული კულტურის, ისტორიის, ლიტერატურის, ხელოვნების სათანადოდ წარმოჩენა და დაფასება სწორედ ასეთ გარემოში ხდება.

ვსარგებლობ შემთხვევით და მსურს, მივესალმო კონფერენციის ფარგლებში, პოლონეთში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“ გამოფენის ჩატარებას, რომელიც რამდენიმე დღის წინ, იუნესკო-ს მიერ ქართული ანბანის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარებას ეძღვნება. ამგვარად, ქართული ანბანი კაცობრიობამ სცნო არა მარტო ეროვნულ, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობის კულტურულ მემკვიდრეობად.

დასასრულს, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ წმ. გრიგოლ ფერაძის ქართველოლოგიური კონფერენციის მნიშვნელობას; იმ როლს, რომელსაც ის თამაშობს კულტურათაშორისი და ხალხთაშორისი ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში და ვუსურვებ კონფერენციის მესვეურთ არაერთი წარმატებული ღონისძიების გამართვას.

პატივისცემით,



გიორგი კვირიკაშვილი